საქართველო

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულო
სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარების და
ინფრასტრუქტურის კომისია

3500, საქართველო, ქ. ოზურგეთი, კოსტავას ქ. N1
№1 Kostava str. Ozurgeti, 3500, Georgia.

N 153 17/10/2015

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისიის გაწეული მუშაობის

ა ნ გ ა რ ი შ ი

2015 წლის 15 სექტემბრიდან-15 ოქტომბრამდე კომისიამ ჩაატარა ორი სხდომა, აღნიშნული კომისიის სხდომების დროს განხილული იქნა ოთხი საკითხი:

1. „ურეკი-შეკვეთილის ტურისტულ-სარეკრიაციო კოპლექსის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ შ.პ.ს. „არტსტუდიო“-ს წარმოდგენილი პროექტის თაობაზე.

მომხს: ტ. არუშიძე

2. ოზურგეთის მუნიციპალიტეტში მიმდინარე ინფრასტრუქტურული და სტიქიის სალიკვიდაციო სამუშაოების შესახებ.

მომხს: ტ. არუშიძე

3. შემოსული კორესპოდენციის შესახებ.

მომხს: ტ. არუშიძე

4. ადგილობრივ მნიშვნელობის საავტომობილო გზებზე მუნიციპალური ავტოსატრანსპორტო საშუალებების მოძრაობის ორგანიზების თაობაზე.

მომხს: ა. გოგოტიშვილი

კომისიის წევრებმა მოისმინეს და განიხილეს კომისიის თავმჯდომარის მიერ წარმოდგენილი დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხები, ურეკი-შეკვეთილის ტურისტულ-სარეკრიაციო კომპლექსის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის პროექტზე ვრცლად ისაუბრა შ.პ.ს. „არტსტუდიო“ პროექტის არქიტექტორმა - ვ. კუხიანიძემ. უპასუხა საინტერესო შეკითხვებს. საკრებულოს თავმჯდომარემ მადლობა გადაუხადა შ.პ.ს. „ატრსტუდიო პროექტისკოლექტივს გაწეული მუშაობისათვის და განაცხადა, რომ დოკუმენტი იურიდიულ ძალას მიიღებს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე.

კომისიის წევრებმა გადაწყვიტეს:

1. დამტკიცდეს კომისიის დასკვნა (თან ერთვის) და მიზანშეწონილად იქნეს მიჩნეული შ.პ.ს. არტ-სტუდიოს მიერ წარმოდგენილი „ურეკი-შეკვეთილის ტურისტულ-სარეკრიაციო კოპლექსის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ - საკრებულოს ინდივიდუალურ-სამართლებრივი აქტის

პროექტის შეტანა მუნიციპალიტეტის საკრებულოს მომდევნო სხდომაზე განსახილველად და დასამტკიცებლად.

2. „ოზურგეთის მუნიციპალიტეტში მიმდინარე ინფრასტრუქტურული და სტიქიის სალიკვიდაციო სამუშაოების შესახებ“ კომისიის თავმჯდომარის ინფორმაცია მიღებულ იქნა ცნობად.

მოგახსენებთ, რომ ამ დროისათვის თითქმის დასრულებულია სოფლის მხარდამჭერი პროგრამით გათვალისწინებული სამუშაოები ადმინისტრაციულ ერთეულებში, მიმდინარეობს სტიქიის სალიკვიდაციო სამუშაოები და აქტიურ ფაზაშია რ.გ.ფ. ფონდიდან დაფინანსებული მსხვილი პროექტები, როგორიცაა: მერია-ლაითურის ხიდის მშენებლობა, ხუთსართულიანი საცხოვრებელი სახლის სარემონტო სამუშაოები ს. მერიაში, რომელიც განკუთვნებულია უსახლკაროთათვის, დასრულებულია მერია-კონჭკათის ცენტრალური გზის მოასფალტება, დასრულდა მელექედური-დვაბზუს, შემოქმედი-ცხმელისხიდის გზის ასფალტით მოწყობა, მიმდინარეობს ჭანიეთის ადმინისტრაციულ ერთეულში საბავშვო ბაღის მშენებლობა, ასევე დასრულებულია ტენდერი ბაღის მშენებლობისათვის ბახვსა და ცხემლისხიდის ადმინისტრაციულ ერთეულებში. დასრულებულია ტენდერი სოფელ ჯუმათის წყალმომარაგების აღდგენა-რეაბილიტაციის კუთხით.

მესამე საკითხთან დაკავშირებით, რომელიც შემოსულ კორესპოდენციას ეხება:

ა) დაბა ურეკის ადმინისტრაციულ ერთეულში საცხოვრებელი სახლების ნუმერაციის თაობაზე - ანდრო ქიმუცაძის საცხოვრებელ სახლს მიენიჭოს თაყაიშვილის ქ. N39^{ა}, რის შესახებაც მოხსენდეს უფლებამოსილ თანამდებობის პირს სამართლებრივი აქტის გამოსაცემად, ხოლო დანარჩენი მოქალაქეების საკითხები გადაწყვეტილი იქნას დამატებითი შესწავლის შემდეგ.

ბ) შემოქმედის ადმინისტრაციულ ერთეულში არსებულ ხუთსართულიან სახლში სასმელი წყლისა და კანალიზაციის სისტემის მოწესრიგების აუცილებლოს თაობაზე ეცნობოს მუნიციპალიტეტის გამგეობას.

მეოთხე საკითხთან დაკავშირებით, რომელიც ეხებოდა:

ადგილობრივი მნიშვნელობის საავტომობილო გზებზე „მუნიციპალური ავტოსატრანსპორტო საშუალებების მოძრაობის ორგანიზების თაობაზე“, კომისიის წევრებმა გადაწყვიტეს ოზურგეთის მუნიციპალიტეტის შ.პ.ს. „მუნიციპალური ტრასპორტი“-ს დირექტორის ინფორმაცია მიღებული იქნას ცნობად.

ტარიელ არაშიძე

კომისიის თავმჯდომარე

სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარების და ინფრასტრუქტურის კომისია